საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2983
28/06/2022

2983-21-2-202206281808

მოქალაქე ქალბატონ ანა თაბუკაშვილის
მის: თბილისი, საბურთალო-მირიან მეფის 104
ტელ: 598 36 33 06
პ/ნ: 41001030858

ქალბატონო ანა,

თქვენი 2022 წლის 13 ანვრის წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ატმოსფერული ჰაერის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი დღეის მდგომარეობით ხორციელდება საქართველოში შვიდი ავტომატური სადგურის საშუალებით, რომელთა განთავსების ადგილებია: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. 105; ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. წითელი ბაღი; ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 73ა, "ილიას ბაღი"; ქ.რუსთავი, ბათუმის ქ. 19; ქ.ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. 98 და ქ.ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა N1.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატურ სადგურებზე განისაზღვრება შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10, PM2,5), აზოტის ოქსიდები (NO, NOx, NO2), გოგირდის დიოქსიდი (SO2), ნახშირჟანგი (CO) და ოზონი (O3).

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება საქართველოში 2018 წლის 1 აგვისტოდან ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით.

ასევე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით 2015 წლიდან საქართველოს 25 ქალაქში ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი) ატარებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორულ გაზომვებს, ბენზოლის, აზოტის დიოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციების განსასაზღვად.

ამ დროისთვის არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემების ნახვა შესაძლებელია ჰაერის ხარისხის პორტალზე http://air.gov.ge/. ანგარიშების გვერდზე სასურველი თვის მითითებით შესაძლებელია სადგურების მონაცემთა ჩამოტვირთვა. ამასთანავე,

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს საინფორმაციო წელიწდეულებსა „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწდეული“ და ბიულეტენებს "მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ", რომელშიც შესაძლებელია მონაცემების ნახვა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ თვეებისა და ქალაქების მიხედვით (http://nea.gov.ge).

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო